სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

99242828475816

## საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

# რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N161094262

რეგისტრაციის თარიღი

**22.09.2016 წ**

ნოტარიუსი: ცირა ლომაია
მისამართი: ქ. დუშეთი, დ. აღმაშენებლის ქ. #44
ტელეფონი: (346) 22 18-73

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

## საქართველო
## სანოტარო აქტი

**ორიათას თექვსმეტი წლის ოცდაორ სექტემბერს, მე, ცირა ლომაიას,** ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. დუშეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №44, მომმართა შემდეგმა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა: **თამარი ფალავანდიშვილმა.**

მან, როგორც **ინდივიდუალურმა მეწარმემ,** განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს: **გელა წოწკოლაურს.**

**თამარი ფალავანდიშვილმა** მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად აღნიშნულმა პიროვნებამ მომმართა

მე შევამოწმე **თამარი ფალავანდიშვილის** ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

მე შევამოწმე **თამარი ფალავანდიშვილი** როგორც **ინდივიდუალური მეწარმის** *(სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 03/02/2010 წელი, პირადი ნომერი №6001014387 იურიდიული მისამართი: საქართველო, დუშეთი რ. ერისთავის ქ. #12; მარეგისტრირებელი ორგანო: საჯარო რეესტრი)* უფლებამოსილება წარმოდგენილი დოკუმენტით: **ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან –განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B10013648; ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/02/2010 17:58:32).**

მიმნდობის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენისთანავე შედგა შემდეგი აქტი:

## მინდობილობა

**ორიათას თექვსმეტი წლის ოცდაორ სექტემბერს, თამარი ფალავანდიშვილმა** (დაბადებული 07.07.1966წ. თბილისი. პირადი №16001014387. რეგისტრირებული მისამართი: **დუშეთი შ.რუსთაველის შეს. N 4)** – **ინდივიდუალური მეწარმე,** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მიმნდობი **გელა წოწკოლაურს** (დაბადებული 25.10.1961წ. დუშეთი. პირადი №01015003588. რეგისტრირებული მისამართი: **დუშეთი ზ.ბედუკაძის ქ. N 7),** რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი" მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

### მუხლი 1. უფლებამოსილების შინაარსი
### მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის, როგორც ინდივიდუალური მეწარმის *(პირადი ნომერი: 16001014387)* სახელით:

1. **წარმოადგინოს ინდ/საწარმო საქმიან ურთიერთობებში, აწარმოოს მოლაპარაკებები, დაიცვას** მიმნდობის ინტერესები ყველა სახელმწიფო, ადმინისტრაციულ, ადგილობრივ, კომერციულ ორგანოებში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ნოტარიუსთან ურთიერთობაში, იუსტიციის სახლში (მის ნებისმიერ სამსახურში), სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის სამსახურში, საჯარო რეესტრის სამსახურში, სამეწარმეო სამსახურში, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, შსს მომსახურების სააგენტოში, ქ. თბილისის მერიაში, ქ. თბილისის მერიის ნებისმიერ სამსახურში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, აუდიტორთან, სასამართლო ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან და სხვა. მინდობილი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით დადოს/გააუქმოს/შეიტანოს ცვლილებები ნებისმიერი ტიპის ხელშეკრულება(ში) (მათ შორის, ინდ/საწარმოს საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონების გასხვისება, სარგებლობაში გადაცემა და ვალდებულებებით დატვირთვა), შემდგომში, მათი შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების უფლებით, აწარმოოს სალარო აპარატთან მუშაობა (სალარო აპარატის მიღება/ჩაბარების, მართვისა და განკარგვის უფლებით). ასევე, მინდობილი უფლებამოსილია წარმოადგინოს საწარმო საგადასახადო ორგანოებში სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით, მათ შორის, საგადასახადო დავალებების, ანგარიშსწორებების და საგადასახადო დეკლარირების ელექტრონული ვერსიით მიწოდების მიზნით, ჩააბაროს ყოველთვიური და ყოველწლიური დეკლარაციები, მოახდინოს ანგარიშსწორება ბიუჯეტთან, განახორციელოს ბიუჯეტში ჩარიცხული თანხების შედარება, ისარგებლოს საწარმოს ბეჭდითა და დოკუმენტაციით., მოახდინოს საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის პორტალში, ტერმინალში *(საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ ადგილზე)*

გაფორმება, დეკლარირება, ტრანსპორტირება, რეალიზაცია და სხვა, ინდ/მეწარმის სტატუსის შეწყვეტა, ლიკვიდაცია და სხვა.

2. **ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში (მათ შორის, სს „ლიბერთი ბანკ"-ში)** მართოს და განკარგოს ინდ/საწარმოს საბანკო ანგარიში/ანგარიშები (შესაბამის ვალუტაში), მათ შორის, აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ოპერაციები, ანგარიშის გახსნა და/ან დახურვა, თანხის შეტანა, გამოტანა, გადარიცხვა/გადმორიცხვა, შეცვლა და სხვა, მინდობილი უფლებამოსილია განახორციელოს კონვერტაცია ანგარიშზე, მიიღოს ცნობა, ამონაწერი, იყიდოს საბანკო ჩეკი, ისარგებლოს დისტანციური მომსახურებებით (ბანკი-კლიენტი, მობილ-ბანკი, სმს მომსახურება, ინტერნეტ-ბანკინგის სრული პაკეტი და სხვა). მინდობილის უფლება აქვს გაიტანოს ბანკიდან საგარანტიო წერილები, მიიღოს დეპოზიტი და მოახდინოს შესაბამისი თანხის გაყინვა ანგარიშზე. მინდობილი უფლებამოსილია მიიღოს გარანტიები, დადოს/გააუქმოს/შეიტანოს ცვლილებები ნებისმიერ საბანკო ხელშეკრულება(ში) (მათ შორის, გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება, მისი შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულება, სოლიდარული და თავდების ხელშეკრულება, იპოთეკის, სესხის, სესხისა და იპოთეკის, ოვერდრაფტის, სადაზღვევო და სხვა). მიმნდობის სახელით შეადგინოს განცხადების/თანხმობის ნებისმიერი შინაარსის ტექსტი დანიშნულებისამებრ წარსადგენად. უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დაამზადოს/მიიღოს/ისარგებლოს ყველა სახის საბანკო დოკუმენტით და მიიღოს ეს დოკუმენტი, ასევე, საბანკო პლასტიკური ბარათი/ბარათები (მათ შორის, ბიზნეს-ბარათი), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ბანკიდან ფულადი თანხების მიღება, მოახდინოს ბარათის განახლება, მისთვის კოდის მინიჭება/გატანა, პლასტიკური ბარათის ბლოკირება/განბლოკვა, ბანკომატში დაკავებული ბარათის მიღება, მიიღოს ნებისმიერი თანხა, რაც დაკავშირებულია ზემოთ მითითებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.
3. აღნიშნული დავალებების განხორციელების მიზნით მინდობილი უფლებამოსილია გადაიხადოს და/ან დაიბრუნოს დაწესებული გადასახადები, ჩააბაროს და/ან მიიღოს (მოიპოვოს, გამოითხოვოს, დაამზადოს, შეადგინოს და სხვ.) ნებისმიერი სახის ინფორმაცია და/ან დოკუმენტი და ხელი მოაწეროს მათ.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით.

აქტის ეგზემპლარები და დანართი

წინამდებარე აქტი შედგენილია სამი თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი შეინახება აქტის მიმღები ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს.

წინამდებარე აქტის სანოტარო არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრიდან – განაცხადის ნომერი: B10013648; ამონაწერის მომზადების თარიღი: 03/02/2010 17:58:32

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ათი ლარი + ორი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ თორმეტი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31-ე(VII) და 39-ე მუხლებისა.

მე, ნოტარიუსმა მიმნდობს წავუკითხე წინამდებარე აქტი და განვუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა აქტი, განაცხადა, რომ იწონებს წინამდებარე აქტს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა მას ხელი. ყოველივე ზემოთქმულს ვადასტურებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

მიმნდობი: ინდივიდუალური მეწარმე

თამარი ფალავანდიშვილი თამარ ფალავანდიშვილი

ნოტარიუსი

ცირა ლომაია

საქართველო ნოტარიუსი ცირა ლომაია GEORGIA NOTARY ГРУЗИЯ НОТАРИУС ЦИРА ЛОМАИЯ 01017035143

14:03